**იაპონიის საელჩო**
7დ კრწანისის ქ.; 0114 თბილისი

10 სექტემბერი, 2013

# პრეს რელიზი

## *იაპონიის მთავრობის მიერ გამოყოფილი „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში დაფინანსებული ამბროლაურის რაიონიში ფერმერთა კოოპერტივის ცენტრის შექმნის პროექტის საზეიმო გახსნის ცერემონია*

**11 სექტებერს, 11 საათზე,** ქალაქ ამბროლაურში გაიმართება იაპონიის მთავრობის მიერ, ადამიანთა უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული, ამბროლარურის რაიონიში ფერმერთა კოოპერტივის ცენტრის შექმნის პროექტის საზეიმო **გახსნის ცერემონია.** ცერემონიას დაესწრებიან – იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბატონი ტოშიო კაიტანი, ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები და სხვა მაღალი რანგის სტუმრები.

ზემოხსენებული პროექტის საგრანტო შეთანხმებას ხელი 2013 წლის 07 თებერვალს მოეწერა იაპონიის საელჩოსა და არასამთავრობო ორგანიზაცია“აფხაზინტერცონტ–ს“ შორის. პროექტის მიზანია ამბროლაურის რაიონში ფერმერთა პირობების გაუმჯობესება სასოფლო–სამეურნეო ინოვაციური საინფორმაციო ბაზის უზრუნველყფით, კოოპერატივის ცენტრის აშენების გზით. ეს ცენტრი საშუალებას მისცემს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ფერმერებს მიიღონ სათანადო ტრენინგები, ვეტერინარული სერვისები და კონსულტაციები სოფლის მეურნეობის სფეროში, რომელიც აქამდე ხელმიუწდომელი იყო ამ რეგიონში. პროექტის ღირებულება 108281 ა.შ.შ. დოლარს შეადგენს.

„გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ (GGP) საგრანტო პროგრამა დახმარებას უწევს შედარებით მცირემაშტაბიან პროექტებს, რომლებიც ინიცირებულია ადგილობრივი მთავრობების, სამედიცინო დაწესებულებების, არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა არაკომერციული სექტორის მიერ და მიზნად ისახავს საქართველოს მოსახლოების არსებობის სტანდარტის გაუმჯობესებას. პროგრამა ხორციელდება ისეთ სფეროებში, როგორებიცაა საზოგადო ჯანდაცვა, განათლება, სოციალური დახმარება, გარემოს გაუმჯობესება, სიღარიბის დაძლევა, სოფლის მეურნეობა, კულტურა და სხვა. 1998 წლიდან GGP–ის ფარგლებში დაფინანსდა 130 პრეოქტი, რომელთა საერთო ღირებულებამ 12,161 961 ა.შ.შ. დოლარი შეადგინა. იაპონიის ოფიციალური განვითარების დახმარებამ კი 362 მილიონ ა.შ.შ. დოლარს გადააჭარბა.

## რეკონსტრუქციამდე

## რეკონსტრუქციის შემდეგ

# გახსნის ცერემონია